

გახარიაშ პრემიერის რანგში პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა

✘ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიაშ პირველი ოფიციალური ვეროპისა და ვერაზიის საკითხებში აშშ-ის სახერმწიფო მდივნის თანაშემწის მოვადეობის შემსრუდებელ ფიდიპ რიკერთან გამართა.

პრემიერის შეფასებით, აშშ–სთან სტრატეგიური პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავება, ქვეყნის ვეროპური და ვეროატრანტიკური ინტეგრაცია ჩვენი საგარეო პოლიტიკის ურყევი პრიორიტეტია.

მთავრობის მეთაურის რანგში გამართულ პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე გიორგი გახარიაშ ყურადღება გაამახვილა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების ყველა ძირითად მიმართულებაზე, მათ შორის უსაფრთხოების და ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ამერიკური მხარისგან მკაფიოდ დაფიქსირდა ქართულ-ამერიკური სტრატეგიური თანამშრომლობის გაგრძელების და კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობა.

ხაზი გაესვა დემოკრატიის შემდგომი კონსოლიდაციისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი გაძლიერების მიმართულებით ძარისხმევის გაგრძელების მნიშვნელობას. შეხვედრისას საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ ჭრიღში არსებულ მძიმე მდგომარეობას.

ფიდიპ რიკერმა ბოლო პერიოღში საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ განვითარებულ მოვრენებსა და ე.წ ბორღერიზაციის პროცესთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და აღნიშნა, რომ აშშ კვდავაც მოუწოდებს რუსეთს ნაკისრი ვარღებუდებების შესრუდებისკენ.

პრემიერ–მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა საერთაშორისო პარტნიორობის მტკიცე მხარღაჭერა და ამერიკის შეერთებულ შტატების

მთავრობას მადლობა გადაუხადა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვარდების შემსრულებელმა გიორგი გახარიას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება მიუღოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.